

საკონსტიტუციო სასამართლო ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის გზაზე: 2017 წლის 13 და 14 ივლისის გადაწყვეტილებების ზოგიერთი ხარვეზის შესახებ

გიორგი მშვენიერაძე

მარინე კაპანაძე

საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით¹ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისათვის შემენისა და შენახვის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება პირველი იყო, რომელიც ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობას შეეხებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკა უკვე დიდი ხანია კრიტიკის საგანია² (სამართლიანადაც), საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. პირველ გადაწყვეტილებას მალევე მოჰყვა სხვა სარჩელები/კონსტიტუციური წარდგინებები³ და მათთან დაკავშირებით მიღებული ახალი გადაწყვეტილებები, რომელიც ასევე არსებითად უკავშირდებოდა ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელ საკანონმდებლო ნორმებს.

შესაბამისად, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ რამდენად შეძლებდა სასამართლო მომდევნო გადაწყვეტილებებში ბექა წიქარიშვილის საქმეში ჩამოყალიბებული მიდგომის შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას. აღსანიშნავია ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის კუთხით საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვარი გამბედაობა (განსხვავებით აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებისაგან⁴) და

¹ „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, შემდგომში „წიქარიშვილის საქმე“.

² US Department of State, Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs, International Narcotics Control Strategy Report (INCSR) , Reports on Georgia 2011, 2014 <http://www.drugpolicy.dsl.ge/eng/US_State_Report_Georgia.pdf> , <<https://www.state.gov/j/inl/rls/nrcrpt/2014/vol1/222890.htm>> ; <<http://www.drugpolicy.dsl.ge/eng/news.htm>> ; <<https://idfi.ge/ge/statistical-information-on-drug-crimes-in-georgia>> ; [უკანასკნელად ნანახია 17.09.2017]

³ საკონსტიტუციო სასამართლოში ჯამში 35-მდე კონსტიტუციური წარდგინება და სარჩელი შევიდა ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით

⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წიქარიშვილის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებად საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე ფრაგმენტული ცვლილება განახორციელა კანონმდებლობაში. 2015 წლის 8 ივლისს მიღებული კანონით, სსკ-ს 260-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა,

პირველი თამამი ნაბიჯები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის პროცესში.

მიუხედავად ამ პროცესის დადებითი ხასიათისა, მნიშვნელოვანია, სასამართლოს გადაწყვეტილებების იმ ნაკლოვან მხარეებზე ყურადღების გამახვილებაც, რომელთა არარსებობის პირობებში გაიზრდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების ხარისხი და მის მიმართ სანდოობა. მოცემულ სტატიაში ყურადღება სწორედ ამ ხარვეზთა ნაწილზეა გამახვილებული.

წინამდებარე სტატიის მიზანია, სასამართლოს მიერ 2017 წლის 13 და 14 ივლისს მიღებული ორი გადაწყვეტილების ანალიზი და მათი შედარება ბექა წიქარიშვილის საქმეში დადგენილ სტანდარტებთან. ასევე, სტატიაში ყურადღება გამახვილდება დასახელებულ გადაწყვეტილებათა ხარისხზე, დასაბუთებულობასა და სამართლებრივ გამართულობაზე.

2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით⁵ სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 0,00009 გრ. ნარკოტიკული საშუალება-დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვისათვის. ხოლო 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით⁶ სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ნარკოტიკული საშუალება-კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისათვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისათვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ასევე ამავე მუხლის მეორე ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 151 გრამამდე კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისათვის უკანონოდ დათესვის, მოყვანის ან კულტივირებისთვის და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების, „ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით - „ექვსიდან თორმეტ წლამდე,“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც 266 გრამამდე კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების

როლითაც ნარკოტიკული საშუალების გასაღება და ფლობა ერთმანეთისგან გაიმიჯნა, ამ უკანასკნელისათვის კი შედარებით მსუბუქი სასჯელი განისაზღვრა, თუმცა ამ ცვლილებით ნორმის შინაარსი რეალურად არ შეცვლილა, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლომ წიქარიშვილის საქმეშიც გაამახვილა ყურადღება. ამასთან, 2014 წლის 16 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით იგი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ ცალსახადა არაა მიმართული, არამედ პირიქით, მისი გამკაცრებისაკენ. რაც შეეხება ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისათვის მომზადებულ ინიციატივებს, მასზე მუშაობა ხელისუფლებამ 2013 წელს დაიწყო ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, თუმცა ინიციატივა მრავალ სირთულეს წააწყდა, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან. შესაბამისად, მისი სრულყოფილი და ეფექტიანი მიღება/გატარება ვერ მოხერხდა.

⁵ „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, შემდგომში „ბახუტაშვილის საქმე“.

⁶ „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გიგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, შემდგომში „გვიანიძის საქმე“.

მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით - „ექვსიდან თორმეტ წლამდე“.

ზემოაღნიშნული საქმეების განხილვა მოხდება ორი მიმართულებით: ა) რამდენად სიღრმისეულად მოხდა საკითხის გამოკვლევა თითოეულ დასახელებულ საქმეში ბ) რამდენად სწორი მიმართულებით განვითარდა სასამართლო პრაქტიკა ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი ნორმების შეფასებასთან მიმართებით.

ა) გამოკვლევის მასშტაბი

აღსანიშნავია, რომ წიქარიშვილის საქმეში, სასამართლომ, მოწვეული მოწმეებისა და ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და დასკვნებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ 50-70 გრამი გამომშრალი მარიხუანა არ იყო ის ოდენობა, რომელიც მაღალი ალბათობით, მიაწოდებდა მისი რეალიზაციის მიზნებისათვის შეძენა/შენახვის გარდაუვალობაზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, მომდევნო საქმეებში, სასამართლომ ყოველგვარი დამატებითი გამოკვლევის, სპეციალისტთა და ექსპერტთა მოწვევის გარეშე, იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, კონკრეტული ოდენობები, იყო თუ არა ერთ შემთხვევაში მოხმარების, მეორე შემთხვევაში კი გასაღების მიზნის არსებობისათვის საკმარისი.

გვიანდის საქმეში, სასამართლომ თავადვე მიიჩნია, რომ 265,49 გრამი კანაფი (მცენარე) „მისი მაღალი ოდენობიდან გამომდინარე, შესაძლოა აჩენდეს მისი გავრცელების ავტომატურ რისკს“, ხოლო 63,73 და 150,72 გ. კანაფი (მცენარე), სასამართლოს მოსაზრებით, a priori არ შეიძლება ჩათვლილიყო იმ ოდენობად, რომელიც არ არის განკუთვნილი პირადი მოხმარებისათვის და რომელიც ავტომატურად ქმნის მისი გავრცელების საფრთხეს.

ბახუტაშვილის საქმეში, სასამართლომ ასევე ყოველგვარი დამატებითი გამოკვლევის გარეშე დაადგინა, რომ არ არსებობდა 0,00009 გრ. ნარკოტიკული საშუალების - დეზომორფინის მოხმარების ან/და ბრუნვაში გაშვებისა და რეალიზაციის რისკები. ამას ამტკიცებდა მოსარჩელე მხარე, რაც მოპასუხე მხარეს არ უარუყვია, რის გამოც, სასამართლომ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია.⁷

მოცემული მიდგომა წინააღმდეგობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკასთან. ზოგადად, სასამართლოს მიერ ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების მეორე მხარის მიერ გაუბათილებლობა და არ უარყოფა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა ფაქტის დადასტურებად, როდესაც სასამართლო საქმეს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით განიხილავს. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის, შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს არა კლასიკური გაგებით შეჯიბრებით პროცესს,

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.3.13

არამედ მხარეების თანაბარ შესაძლებლობას „გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ მათგან ამონაწერები, გადაიღონ ასლები, წარადგინონ მტკიცებულებანი...“⁸.

შეჯიბრებითობის პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლოში არ ნიშნავს შეჯიბრებით პროცესს, სადაც სასამართლო არბიტრის როლს ასრულებს და მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი თუ გაბათილებული არგუმენტაციის საფუძველზე იღებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას. პირიქით, ამის საპირისპიროდ, სასამართლო ინკვიზიციურია. ამას ადასტურებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ავტომატურად არ იწვევს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სასამართლო ვალდებულია გააგრძელოს საქმის განხილვა და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება⁹. მეტიც, ამგვარია საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური კონტროლის ორგანოს ბუნება, მისი როლის, მანდატის და დანიშნულების გათვალისწინებით კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეში, მიუხედავად იმისა, ქვეყანაში არსებობს კონცენტრირებული, თუ დიფუზიური კონსტიტუციური კონტროლი.

ნიშანდობლივია, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები უფლებამოსილი არიან საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მიიღონ ინფორმაცია ყველა სახელმწიფო ორგანოდან, იურიდიული და ფიზიკური პირისაგან, სამეცნიერო დაწესებულებიდან და საინფორმაციო ცენტრიდან, რეგლამენტის შესაბამისად მოიწვიონ სპეციალისტები საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად.“

ამგვარად, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით, მოიწვიოს ექსპერტი/სპეციალისტი და გამოიკვლიოს მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტაციისა და მოსაზრებების სისწორე, დამაჯერებლობა, ამ გზით შეაფასოს სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციურობა და მიიღოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. აღნიშნული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისეთ შემთხვევებში, როდესაც სასამართლოს არ აქვს სპეციალური ცოდნა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რასაც, როგორც წესი, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმეზე საბოლოო, დასაბუთებული, სწორი და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებში („საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი) არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ერთი მხარის მიერ წარდგენილი მოსაზრებები და ფაქტები, მეორე მხარის მიერ უარყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, სასამართლომ დადასტურებულად უნდა მიიჩნიოს (რაც, როგორც აღინიშნა, შეჯიბრებითი პროცესის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია). შესაბამისად, ვინაიდან

⁸ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლი.

⁹ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი.

დასახელებული საქმეები შეეხებოდა ნარკოტიკული საშუალებების მომწესრიგებელ კანონმდებლობას, ბუნებრივია, სასამართლოს, მინიმუმ, გაუჭირდებოდა სპეციალური ცოდნის გარეშე, სიღრმისეულად გამოეკვლია ყველა პრობლემური საკითხი. სწორედ ამიტომ, მას უნდა ესარგებლა საკუთარი უფლებამოსილებით და საკითხის გამოსაკვლევად მოეწვია შესაბამისი დარგის ექსპერტები/სპეციალისტები.

ბ) სასამართლო პრაქტიკის განვითარება

აღსანიშნავია, რომ როგორც გვიანბნის, ისე ბახუტაშვილის საქმეები, მეტწილად, ეყრდნობა წიქარიშვილის საქმეში განვითარებულ მსჯელობასა და არგუმენტაციას. თუმცა, აღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ ამგვარი მიდგომა ყველა შემთხვევაში მართებულია.

თავად წიქარიშვილის საქმეშიც, სასამართლოს მსჯელობა ერთ ნაწილში ურთიერთწინააღმდეგობრივადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. კერძოდ, გადაწყვეტილების 91-ე პარაგრაფში, სასამართლო, ერთი მხრივ აღნიშნავს: „ბუნებრივია, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ, ერთი მხრივ, ადამიანმა შესაძლოა მცირე ოდენობაც რელიზაციისთვის გამოიყენოს და არა (მხოლოდ) პირადი მოხმარებისთვის, ისევე, როგორც, მეორე მხრივ, დიდი ოდენობა შეიძინოს, გამოიყენოს მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნებისთვის“¹⁰. თუმცა აქვე სასამართლო ამატებს: „თუმცა, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ, რაც უფრო დიდია ოდენობა, მით ლოგიკური, აშკარა და რეალურია მისი რელიზაციის მიზნებისთვის ფლობა, ისევე, როგორც ოდენობის ზრდასთან ერთად, იზრდება სხვა პირების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მასშტაბიც“. აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით კი სასამართლო ასკვნის, რომ „ძალიან მნიშვნელოვანია, კანონმდებლობა იძლეოდეს შესაძლებლობას, ყოველ ჯერზე გაიმიჯნოს პირადი მოხმარების მიზნებისთვის და რელიზაციის მიზნებისთვის მარიხუანის შეძენა/შენახვის ფაქტები.“ თუმცა აქვე აწესებს გამონაკლისს, კერძოდ, სასამართლოს მოსაზრებით, „მაშინ, როდესაც ოდენობა აშკარად, ობიექტურად აჩენს რელიზაციის გარდაუვალ საფრთხეს, კანონმდებელი უნდა თავისუფლდებოდეს ვალდებულებისგან, დამატებით შებოჭოს სამართალშემფარდებელი, ამტკიცოს, რომ ასეთ შემთხვევაში არსებობს რელიზაციის განზრახვა.“ თავის მხრივ, რელიზაციის განზრახვის არსებობა სასამართლოს მოსაზრებით უკვე ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ჩარევა პასუხისმგებლობის დაწესების (მათ შორის თავისუფლების აღკვეთის) გზით დასაშვები და მართებულია¹¹.

ამგვარი მსჯელობა, შესაძლოა, ნაკლებად პრობლემატურია წიქარიშვილის საქმეში, სადაც სასამართლომ ექსპერტების/სპეციალისტების მოსაზრებებზე დაყრდნობით, 69 გრ. მარიხუანა არ მიიჩნია იმ ოდენობად, რომელიც ავტომატურად გულისხმობდა რელიზაციის განზრახვას, თუმცა სწორედ ზემოაღნიშნული მსჯელობა გამოიყენა სასამართლომ გვიანბნის საქმეში,

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის №1/9/701,722,725 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანბნე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II. პ. 91

¹¹ იქვე, II. პ. 94

სადაც რეალიზაციის ავტომატური განზრახვა სასამართლომ ვერ დაინახა 64 და 151 გრამამდე კანაფის (მცენარე) შემთხვევებში, თუმცა 266 გრამამდე კანაფთან მიმართებით მიიჩნია, რომ მოცემული ოდენობა შესაძლოა აჩენდეს მისი გავრცელების ავტომატურ რისკს, რის გამოც ჩათვალა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება (თუკი თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა პროპორციული იქნება) კონსტიტუციურია.

ამდენად, ერთი მხრივ, სასამართლო ამბობს, რომ კანონმდებლობით ნათლად უნდა გაიმიჯნოს მოხმარებისა და რეალიზაციის მიზნები და პასუხისმგებლობის დაკისრება ინდივიდუალურად, საქმეში გათვალისწინებულ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს, თუმცა, ამავედროულად, საკუთარი ინიციატივით, თავადვე განსაზღვრავს რომელი ოდენობა შეიძლება მიიჩნეოდეს რეალიზაციის განზრახვისათვის საკმარისად. მეტიც, წიქარიშვილის საქმეში განვითარებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, სასამართლო გვიანიძის საქმეში საკუთარი პოზიციის გასამყარებლად ამბობს, რომ „გარკვეული კონდიციის შემდეგ, როდესაც ოდენობიდან გამომდინარე, ისედაც ობიექტურად ჩნდება რეალიზაციის რეალური საფრთხე, მიზნის გარკვევის აუცილებლობა არარელევანტური ხდება“. ამგვარი მსჯელობით სასამართლო ერთგვარად მიაჩნის, რომ დასახელებული ოდენობა (265,49 გ.) სწორედ ის ოდენობაა, რომელთან მიმართებითაც მიზნის გარკვევის აუცილებლობა არ არსებობს.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ჩნდება ლეგიტიმური შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მართებული და დასაბუთებულია რეალიზაციის განზრახვის მიზმა ნარკოტიკული საშუალების ოდენობაზე და, მით უფრო, ამის განსაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თუკი შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც დიდი ოდენობის მიუხედავად პირს ნარკოტიკული საშუალება პირადი მოხმარების მიზნით შეიძლება ჰქონდეს და პირიქით - ნაკლები ოდენობის მიუხედავად გასაღების მიზნით ინახავდეს, რამდენად სწორია სასამართლოს მიერ კონკრეტულ ოდენობასთან მიმართებით იმის განსაზღვრა, მიუთითებს თუ არა იგი რეალიზაციის განზრახვაზე?!

მიგვაჩნია, რომ სასამართლოს, როგორც წიქარიშვილის, ისე სხვა საქმეებში, შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა გასაჩივრებულ ოდენობებთან მიმართებით რეალიზაციის განზრახვის არსებობა და ამით გაემყარებინა საკუთარი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა გაიმიჯნოს კანონმდებელმა და შემდგომ სამართალშემფარდებელმაც თითოეულ შემთხვევაში პირადი მოხმარებისა და რეალიზაციის მიზნები.

ამავედროულად, სასამართლოს უნდა დაედგინა მხოლოდ ზოგადი სტანდარტი, რომ პირადი მოხმარების განზრახვის შემთხვევაში, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არაკონსტიტუციურია, თუმცა მას არ უნდა განესაზღვრა a priori, რომ 265,49 გრამი კანაფის (მცენარე) შენახვა არის ის ოდენობა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს რეალიზაციის განზრახვას.

მეტიც, უცნაურია ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სარჩელს წარმოადგენდა აღნიშნული ოდენობით კანაფის (მცენარე) უკანონოდ დათესვა/მოყვანა პირადი მოხმარების მიზნით,

შესაბამისად, სასამართლოს სამოტივაციო ნაწილშიც უნდა ემსჯელა სწორედ იმაზე, პირადი მოხმარების მიზნით კანაფის (მცენარე) დათესვა/მოყვანისათვის იყო თუ არა კონსტიტუციური სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება.

ამის საპირისპიროდ, სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში დაადგინა, რომ 265,49 გრამი კანაფი, შესაძლოა, ავტომატურად აჩენდეს გავრცელების რისკს, რის გამოც, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა გამართლებულია. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში კი სასამართლომ, სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის მითითებისას, მიუხედავად სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობისა, კვლავ საუბრობს პირადი მოხმარების მიზანზე, რაც თავად გადაწყვეტილების შიგნით ქმნის ერთგვარ წინააღმდეგობას.

კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილის დ) ქვეპუნქტში სასამართლო აცხადებს, რომ არაკონსტიტუციურად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით - „ექვსიდან თორმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც 266 გრამამდე კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით - „ექვსიდან თორმეტ წლამდე“.

თუკი საუბარია პირადი მოხმარების მიზანზე, სასამართლოს, მიუხედავად ოდენობისა (265,49 გრამი), თავისუფლების აღკვეთის დაწესება ყველა შემთხვევაში არაკონსტიტუციურად უნდა ეცნო. სხვა შემთხვევაში, სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა თუკი სასამართლო სარეზოლუციო ნაწილში 265,49 გრამთან მიმართებით აღარ გამოკვეთდა შესაძლო მიზანს.

საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მაინც პროგრესულად უნდა მივიჩნიოთ. სასამართლოს ამ და სხვა გადაწყვეტილებებით, ერთი მხრივ, ხელისუფლება იძულებული გახდა გადაეხედა შესაბამისი კანონმდებლობისათვის, ხოლო მეორე მხრივ, გააჩინა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის (დეკრიმინალიზაციისა და ლეგალიზაციის ჩათვლით) მოთხოვნის ახალი ბიძგი საზოგადოებაში.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2017 წლის 26 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ცვლილებები შევიდა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ ნორმატიულ აქტებში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთების მიუხედავად, კანონმდებლობაში მაინც არ მოხდა პირადი მოხმარებისა და რეალიზაციის მიზნების ერთმანეთისგან მკვეთრი გამიჯვნა კანაფის (მცენარე)/მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვის შემთხვევაში (თუმცა დიდ ოდენობასთან მიმართებით გაჩნდა ალტერნატიული სასჯელები ჯარიმისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით¹²).

¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273¹ მუხლის მე-4 ნაწილი.